# ჩვენი ცხოვრება

თბილისი
ხუთშაბათი
22 თებერვალს
1907 წ.
წელიწადი I.

№ 4 ყოველ დღიური გაზეთი. № 4



მიიღება ხელის მოწერა 1907 წ. ყოველდღიურ პოლიტიკურ და სალიტერატურო გაზეთზე:

ჩვენ ცხოვრებაზე

აზიანის და ეყდოშვილის მონაწილეობით.

გაზეთი ღირება:

| თბილისში: | | ქალაქ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| წლიურათ | 5 მ. | წლიურათ | 6 მ. |
| ექვსი თვით | 3 „ | ექვსი თვით | 3 „ 50 კ. |
| ერთი თვით | „ 50 კ. | ერთი თვით | „ 60 „ |

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ „Чвени Цховреба". რედაქციის—ელის. ზედის ქ. № 88.

ხელის მოწერა მიიღება სტამბა „საქმე"-ში. მიხეილის ქ. № 40.


## რევოლიუცია თუ ოპოზიცია?

—

ბოლშევიკები წინაალმდეგნი არიან სათათბიროს ოპოზიციის მხარის დ-ჭერისაო, — გვისაყვედურებენ ზოგი რთები. ისინი ასე თუ ისე ასაბუთებენ ამ თავის საქციელს. მაგრამ ის ფაქტი, რომ ამ საქციელით ისინი კამარილას ახარებენ, ფაქტათ რჩება. კამარილა ისარგებლებს სათათბიროს ოპოზიციონერებსა და რევოლიუციონერებს შორის განხეთქილებით, და ის უწყალოთ აბუჩათ აიგდებს თვით პრინციპს ხალხის წარმომადგენლობისას. სათათბირო დაემსგავსება იმ ეტლს, რომელშიაც შებმულან გედი, კიბო და თევზი, და რომელიც ადგილიდან ვერ იძვრის. გავარჩიოთ ეს საბუთი. მართლაც კამარილას უნდა კარგათ ესმოდეს თავის ინტერესი და თუ მას უხარიან რამე, ალბათ აქედან სარგებლობას გამოელის. ლასსალმა ტყუილათ კი არ უწოდა „რეაქციის მსახურთ" საქმის ხალხი.

და ნუ თუ მემარცხენეთა გამარჯვება არჩევნებზე სიკეთეს რასმე უქადის კამარილას? ნუ თუ მემარცხენეთა დამოუკიდებლობა კადეტებისაგან, საკუთარ, დამოუკიდებელ მიზნების განხორციელება მათ მიერ და ამგვარათ მათი თანდათანი გაძლიერება სათათბიროში და სათათბიროს გარეთ კამარილასთვის სასარგებლოა? მემარცხენენი ეცდებიან სათათბიროს ტრიბუნიდან ხალხთან გამოლაპარაკებას; ხალხის წინაშე დღევანდელი მომენტის მორიგ რევოლიუციონურ მიზანთა ახსნა-განმარტებას; ეცდებიან ყველაფრის გამოაშკარავებას —როგორც შავრაზმულ მთავრობის ავაზაკურ ბუნებისას, ისე კადეტების მშიშარა, ორპირ და ჩარჩულ ოპოზიციისას; და ოპოზიციას სწორეთ იმიტომ შეებრძოლებიან, რომ ხალხს ნათლათ გაურკვიონ ოპოზიციის სილატაკე, მისი ულოღიკობა. მისი უნაყოფობა, და მით ხალხს შეათვისებინონ უფრო ლოღიკური, უფრო ნაყოფიერი, და მაშასადამე კამარილასთვის უფრო საშიშარი ტაქტიკა. მემარცხენეებს მუდამ ხალხისკენ ექნებათ მიმართული პირი და ყურმახვილათ იქნებიან, რათა ხალხს იმავე სათათბიროს ტრიბუნიდან თვალის ასახვევათ არავინ მიმართოს; ხმა შეწყობილი მოქმედება ამ ნიადაგზე ყველა მემარცხენეთა,—აი, რა არის ჩვენთვის ბევრათ უფრო სასურველი, ვიდრე „საერთო ო[illegible]ეთი მოქმედება მცირე ხანში დიდათ წასწევდა წინ რევოლიუციონურ მასსის გათვითცნობიერებას, რევოლიუციონურ ძალთა შეკავშირებას; მისი მეოხებით ხალხი შეგნებულათ დაიხატავდა მიზნად პოლიტიკურ ძალაუფლების დაპყრობას, იპოვიდა ოპოზიციაზე უფრო სწორე და ნამდვილ გზას გამარჯვებისაკენ... აი, რას მოასწავებს მემარცხენეთა გამარჯვება არჩევნებზე, აი, რა „სიკეთეს" უქადის კამარილას ოპოზიციისაგან დამოუკიდებელი ტაქტიკა მემარცხენეთა. და ნუ თუ ეს ახარებს კამარილას? ეს ან კადეტური მძორია, ან წყალწაღებული კამარილა ხავსს ეჭიდება. ჩვენ უფრო პირველი გვგონია; თან იმასაც ვფიქრობთ, რომ ეს ჭირი „იდეიურ მორიგებას" წაავავს კადეტებსა და შავრაზმელებს შორის, რადგანაც შავრაზმელებიც ამ ჭირის გავრცელებას ხელს უწყობენ.

მეორე მხრივ, ვნახოთ როგორი „თავზარდამცემი" და „წელის მომწყვეტი" იქნებოდა კამარილასათვის სათათბირო „მთლათ" იმ შემთხვევაში, თუ მემარცხენენი დაივიწყებდნენ თვის რევოლიუციონურ მიზნებს და „საერთო ოპოზიციის" გასწევდნენ ქაპანს, რომლის „გუთნის დედაც" კადეტები უნდა ყოფილიყვნენ.

— კადეტებმა დიდებული საქმე უნდა შეასრულონ მეორე სათათბიროში, მემარცხენენო, ხელს ნუ შეუშლითო, ამბობენ თვით კადეტების პუბლიცისტები, და მათი უფასო დამატება—მენშევიკები. როგორი იქნება ეს დიდებული საქმე? პაგროშჩიკ-მინისტრების ნიღაბის ჩამოგლეჯა და მათი ჰუჰყიან ფიზიონომიის გამომზეურება? კადეტები ამის სასტიკი მოწინააღმდეგენი არიან: „უმართებულო" „წვრილმანი" შეკითხვებით გამწვავებას ნუ გამოიწვევთ მთავრობასა და სათათბიროს შუაო; შარშანდებულათ შეკითხვების ძიცემაზე სხვადასხვა ბოროტმოქმედებათა შესახებ კადეტები ამ თავითვე უარს ამბობენ. ხალხის მასსათა ფართო ორგანიზაციათა შექმნა—ხალხისადმი ხშირი მიმართვით? ღმერთო, შენ დაიფარე ასეთი შეცოდებისაგან კადეტები,—გინდათ დუმა დაანგრიოთო, განრისხებული იძახიან კადეტები—და მათი უფასო დამატებები ნერვებ-აშლილი გაჰყვირიან—შეხეთ, ბოლშევიკებს დუმის დანგრევა უნდათო.

მაშ რა უნდათ კადეტებს?

ძირითადი დანიშნულება სათათბიროსი, ამბობენ კადეტები და მათი გვარის და სახის მემარცხენენი, — ეს „ფესვების გადგმაა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში და ხალხის რწმენაში". სათათბირო პირველ ყოვლისა—უფლ[illegible]ანია, ის თუ უუფლებო, წარმომადგენლობითი დაწესებულებაა. აი, ამიტომ ის ენერგიულათ უნდა დავიცვათ და გავამაგროთ. რა ზომებით? ერთი, რომ სამინისტროზე იქონიებენ გავლენას, მეორე—ხალხს დაანახვებენ თვის ერთგულებას, შრომის-მოყვარეობას, გულშემატკიერობას.

დიე, სამინისტრო აგდებით მოეკიდოს ხალხის წარმომადგენლებს, ეცადოს მათი ხრიკების მოდებას; პროვოკაციით, „კონსტიტუციის დარღვევით, სათათბიროს ნაყოფიერ მუშაობის ჩაშლით ისინი თავის „ცუდკაცობას" დაამტკიცებენ. კადეტები მართებულებას არ გასცდებიან, ეცდებიან ნაყოფიერათ მუშაობას, კონსტიტუციას არ დაარღვევენ. იქონიებს ეს გავლენას მინისტრებზე ხომ კარგი, არა და უფრო ცუდი მათთვის.

ხალხის თანაგრძნობის მოსაპოვებლად სათათბირო „იკანონმდებლებს", ორგანიულ მუშაობას გასწევს. რისთვის,—განა კადეტებს იმედი აქვთ სამინისტრო ამ გზით რაიმე რეფორმებს დაუთმობს? სრულებითაც არა. დიე, ხალხმა დაინახოს, რომ სათათბირო სცდილობს საქმის გაკეთებას, რომ მისი წევრები ტყუილათ არ იღებენ დღეში ათ მანეთს, „რათა კვლავ აღარ გაისმას შარშანდელივით საყვედური: 30 დღეა არსებობს სათათბირო, და ჯერ იმის გაკეთებული არა გვინახავს-რაო." „დიე, შემდეგ სახელმწიფო საბჭომ ან სხვა ვინმემ შეაჩეროს სათათბიროს კანონპროექტები;" ხალხი ხომ გაიგებს, ვისი ბრალიც იქნება სათათბიროს მოქმედების უნაყოფობა. ეხლა ვიკითხოთ: ვთქვათ ხალხმა ეს გაიგო, რა „დიდებული" შედეგი მოჰყვება ამას? სათათბიროს გარეშე მოძრაობას და გარედან სათათბიროზე ზედგავლენის მოხდენას, სათათბიროს აგიტაციის გარშემო ხალხის მასსების შემოკრებას კადეტები ენერგიულათ უარჰყოფენ; მაშ როგორ მოიქცეს ხალხი იმ „განათლების" შემდეგ, რომელსაც კადეტები და მენშევიკები მისცემენ ძას თვის ორგანიულ მუშაობით? ალბათ ისიც კადეტებსავითვე უნდა ეცადოს, რომ მართებულებას არ გასცდეს, კონსტიტუცია არ დაარღვიოს და სხვა. იქონიებს ეს გავლენას მინისტრებზე, ომ კარგი, არა და უფრო ცუდი მათთვის!

აი, როგორი „საშინელი" ტაქტიკაა კადეტების ტაქტიკა. ამ ტაქტიკას უნდა დაუჭიროს მხარი, მენშევიკების აზრით, პროლეტარიატმა. რასაკვირველია პროლეტარიატის მტრები ყოფილან ბლანკისტი-ბოლშევიკები, რაკი ამ ერთად-ერთ „რეალურ" გზას არ ადგებიან.

## სახელმწიფო სათათბირო

—

**პეტერბურგი.** 20 თებერვალს. (კერძო ტელეგრამა „წინ"-ში). დუმის ახლომახლო ქუჩები ხალხითაა გაჭედილი. მემარცხენეებს „ურასა" და „ამნისტიას" ძახილით ეგებებიან. უკიდურესი მემარცხენეები ხელით მიჰყავთ, მემარჯვენეებს—სტვენით ეგებებიან. დუმა გოლუბიოვის სიტყვით გაიხსნა. ს.-დემოკრატიული ფრაქცია დემონსტრატიულათ არ დაესწრო დუმის გახსნას. დანარჩენი პარტიები დაესწრნენ. 356 ხმით 102 წინააღმდეგ თავმჯდომარეთ აირჩიეს ფ. ა. გოლოვინი. ტაშის ცემა. გოლოვინმა მადლობა გამოუცხადა და კრება დახურა. **ზურაბოვი.**

—

**ყველაფერი თავის რიგზე ხდება.** მაშ ასე. სათათბირომ თავმჯდომარეთ გოლოვინი აირჩია. ვინ არის გოლოვინი? გოლოვინი კადეტების ც. კ—ს მიერ წამოყენებული კანდიდატია სათავმჯდომარეო. სათათბირომ კადეტების კანდიდატი აირჩია,—მაშასადამე, სათათბიროს უმეტესობამ ნდობა გამოუცხადა კადეტებს. მაშასადამე, სათათბირო კიდევ კადეტური იქნება.

მემარჯვენეებმა კადეტების კანდიდატს მისცეს ხმა, მემარჯვენეები კადეტების გარშემო შემოკრბნენ,—მაშასადამე, მემარჯვენეები და კადეტები ერთათ გასწევენ ბრძოლას წინააღმდეგ უკიდურეს მემარცხენეებისა. მაშასადამე, კადეტები გაცილებით უფრო მარჯვნივ გადიხრებიან მემარჯვენეთა სასიამოვნოდ.

სოციალდემოკრატიული ფრაქცია დემონსტრატიულათ არ დაესწრო თავმჯდომარის არჩევას, მან აქედანვე ზიზღი გამოუცხადა კადეტების კომედიას,—მაშასადამე, კონფლიქტი უკიდურეს მემარცხენეებსა და სათათბიროს უმეტესობის შორის სარჩულად დაედება სათათბიროს ცხოვრებას. მაშასადამე, კლასთა ბრძოლა გაცილებით უფრო გამწვავდება, ვიდრე პირველ სათათბიროში.

ახალი თავმჯდომარე, გოლოვინი, აცხადებს, რომ დღევანდელ სათათბიროს „მხოლოდ **მონარქთან ერთათ** შეუძლიან ხალხის ნების აღსრულებაო"—მაშასადამე არ სტყუიან ფრანგულ-ინგლისური გაზეთები, როცა კადეტებზე სწერენ, რომ მათ **უკვე** გააკეთეს სტოლიპინთან ხუმი ხელშეკრულობა ხალხის წინააღმდეგო.

დიახ, ყველაფერი თავის რიგზე ხდება.

რას იტყვიან ამაზე ჩვენი მენშევიკები?

## პრესა

—

**„ისარი"-ს მრწამსი.** დღეს, როცა რუსეთის რევოლიუცია დღითიდღე ღრმავდება და ფართოვდება, როცა ორი მოწინააღმდეგე ბანაკი რისხვით უპირდაპირდება ერთმანეთს,—რევოლიუციონერის ვალია ბრძოლისთვის ემზადოს და სასტიკი ბრძოლა იქადაგოს. თუ არის როდისმე საჭირო შეურიგებელი ტაქტიკა, სწორეთ ეხლა უნდა იყოს საჭირო. თუ არის როდისმე დამღუპველი შემრიგებელი ტაქტია—სწორეთ ეხლა. სწორეთ ამისთანა მომენტში ამბობენ ხოლმე დიდი რევოლიუციონერები: „ვინც ჩვენსკენ არაა, ის ჩვენს წინააღმდეგაა". და აი, „რევოლიუციონური" „ისარი" გვეუბნება, რომ ჩვენთვის რეაქციასთან მორი-

გებაა საჭირო, და არა „ახალგაზდური“ ბრძოლათ! სოციალდემოკრატები, რომლებიც ახალგაზდობისას „სოციალიზმთან“ ერთათ „საერთო მოქმედების ნიადაგს“ გვიქადაგებდნენ და შუახნობისას კი „ბრძოლასთან“ ერთათ — წოდებათა თანამშრომლობას, (მოიგონეთ „საქართველო“)—დღეს, სიბერის დროს, სავსებით გამოსთხოვებიან ყოველივე სოციალისტრევოლიუციონერობას და რეაქციასთან მორიგებას დაგვჩხავიან! თურმე ნუ იტყვით „მოპირდაპირეების პირდაპირ შეხვედრა“ სათათბიროში, ე. ი. ხალხისა და რეაქციის შეხვედრა, ბრძოლის გამოხატულება კი არაა, არამედ „მშვიდობიანობის და სარგებლობის გამოხატულებაა“ როგორც რეაქციის, ისე ხალხის მხრივ (იხ. „ისარი“ № 38). ეს მშვიდობიანობა და მორიგება ხალხსა და რეაქციას შორის თურმე დიდათ სასურველია და შესაძლებელიც,—საჭიროა მხოლოთ ორივე მხარემ შეიგნოს ეს, „სულგძელობა“ გამოიჩინოს და ერთმანეთს აპატიოს. ასე „სულგრძელათ“ დალალობს „ისარი“. ყური დაუგდეთ:

„დღეს რუსეთის მეორე პარლამენტის (?) გახსნით მმართველობას ხელახლა ეხსნება გზა იმ მშვიდობიანობის აღსადგენათ, რომელიც ყველასათვის სანატრელი შეიქნა (ეტყობა ბრძოლით დაღლილან ბ-ნ იფედერალისტები!) მშვიდობიანობის დასამყარებლათ კი... აუცილებელი პირობაა იმ მიზეზების მოსპობა, რომელმაც „ეხლანდელი დაუდეგარი და შეუპოვარი სამოქალაქო ომი გამოიწვია (ჩანს არ მოსწონთ ბ. ფედერალისტებს „სხვა და სხვა“ სამოქალაქო ომები!).“

როგორც ხედავთ, „ისარი-“ს აზრით დღევანდელი სამოქალაქო ომის მიზეზი თითონ „მმართველობა“ კი არ არი და მისი არსებობა, —არამედ სხვა რაღაცა პირობებია, რომლებიც „მმართველობამ უნდა მოსპოს.“ გამოდის, რომ რევოლიუციის კითხვებს რეაქციონური „მმართველობა“ გადასჭრის. საბრალო პოლიტიკური ბალღები! ბატმა წიხლი ისწავლა და ამათ რევოლიუციის ანბანი ვერ ისწავლეს... მაგრამ ყური დაუგდოთ ქართველთა განმანათლებლებს:

„ახლა ჯერი მეორე მხარეზეა მიმდგარი (ე. ი. ხალხზე). ეხლა ამ მეორე მხარემ უნდა განაცხადოს თავისი პირობები **სამშვიდობო მორიგებისა.**“ (რა თქმა უნდა, რეაქციასთან მორიგებისა!)

„ისარი“ დარწმუნებულია, რომ „პირველი მხარე“ უკვე დააჯერა მორიგების საჭიროებაში და ახლა „მეორე მხარეს“ მოსდგომია: ფარხმალი დაყარე, „სულგრძელობა“ გამოიჩინე და რეაქციას მოურიგდიო. ვინა სთქვა, რომ ქართველებს მომრიგებლები არა გვყავსო? ვინა სთქვა, რომ ქართველებს ლიბერალები დაგველიაო? განა მომრიგებელი—ლიბერალები არ ირიან ჩვენი ფედერალისტები? განა ნდობისა და მორიგების იდეას არ სთესენ მკითხველებში? თუ კი შეუძლიანთ რამე, განა დღემუდამ არ ებრძვიან უნდობლობისა და ბრძოლის იდეას? ნეტა ვიცოდეთ: რისთვის აღგენენ პროგრამის „პირველ სოციალისტურ პროექტს“ და „მეორე ანარხისტულ პროექტს“? ვის ატყუებენ ბ-ნი ფედერალისტები? საბრალო ფრაზიორები!..

მაგრამ თუ ფედერალისტები **„მშვიდობიან მორიგებას“** ქადაგებენ რეაქციასთან, სამაგიეროთ, **შეურიგებელ ბრძოლას** ალიარებენ სოც.—დემოკრატებთან. ისინი დიდი რიხით უკიჟინებენ მენშევიკებს არარევოლიუციონერობას. ასეთივე რიხით უკიჟინებენ ბალშევიკებს ულოლიკობას. პოლიტიკური კრეტინები! ვერ მიმხვდარან, რომ სოციალდემოკრატი, თუნდაც რო მენშევიკი იყოს ის, რაც უნდა დაბლა იდგეს, ისე მაინც არ დადაბლდება, რომ ფედერალისტებივით „მართველობასთან მორიგება იქადაგო' რევოლიუციონური დალალები! ვერ მიმხვდარან, რომ თუ მთელ რუსეთში სოციალდემოკრატია აირჩიეს მუშებმა და მხოლოთ ზოგიერთ კუთხეებში კი—სოც.-რევოლიუციონერები,—ეს მხოლოთ იმასა ნიშნავს, რომ სოც.-რევოლიუციონერების წვრილმანი გამარჯვება მხოლოთ გამონაკლისია, რომელიც საერთო კანონს ამტკიცებს შესახებ სოციალდემოკრატიის გამარჯვებისა. დიახ, მათ ვერ გაიგეს ყველა ეს და ვერც გაიგებენ! მათ მხოლოთ ერთი რამ გაიგეს და ერთი რამ იციან; „მშვიდობიანი მორიგება“ რეაქციასთან! „შეურიგებელი ბრძოლა“ სოციალდემოკრატიასთან! ეს არის მათი მრწამსი.

—

**გაზ. „წინ“ და მისი არითმეტიკა.** „წინის“ მეშვიდე ნომერში ბალშევიკების ტაქტიკას წვრილ ბურჟუაზიულს ეძახიან ჩვენი მენშევიკები. ჩვენ ამას, რათქმა უნდა, სერიოზულათ არ შევხედავთ, რადგანაც კარგა ვიცით, რომ დაჯავრიანებული კაცი ხშირათ თითონაც არ აქცევს ყურადღებას თავის როშვას. მენშევიკები კი ამჟამათ დაჯავრიანებული არიან. მაგრამ მენშევიკების ტაქტიკა რო ანტიპროლეტარულია, მენშევიკების ტაქტიკა რო კადეტურაა, ეს კი თავისთავათ ცხადია. ეს სხვათა შორის იქიდან გამომდინარეობს, რომ კადეტები მუდამ ქება-დიდებას ასხამენ მენშევიკებს. ეს კიდევ იქიდან გამომდინარეობს, რომ კადეტებს პეტერბურგიდან მენშევიკ მუშის გაყვანა უნდოდათ სათათბიროში—ეს კიდევ იქიდან გამომდინარეობს, რომ თითონ მენშევიკებიც გრძნობენ კადეტებთან ნათესაობას და ხშირათ მათს გაზეთებში თანამშრომლობენ (მაგ. პლეხანოვი. მარტოვი, ჩერევანინი). ამას ვერ ხედვენ მხოლოთ ქართველი „შეგნებული“ მენშევიკები, რომლებმაც ან კითხვა არ იციან, ან მეხსიერება დაკარგეს, ან აზროვნების კანონებს ულალატეს. მაგრამ ქართველ მენშევიკებს არც ანგარიში სცოდნიათ რიგიანათ. აი, მაგალითათ „პრესის“ ავტორს (იხ. „წინ“ № 7) უნდა დაამტკიცოს, ესერები ბალშევიკებს ამარცხებდნენ არჩევნებში და არა მენშევიკებს... რის გამოც ბალშევიკების მაგიერ უფრო გაიდნენ ესერები მუშათა კურიაში, ვიდრე მენშევიკების მაგიერო. და მას მოჰყავს ციფრები, რომლებიც მასვე ამტყუნებს. აი, მაგალითათ: „ვიბორგის რაიონში, სადაც მენშევიკები არიან, ამრჩევლებათ გავიდა 24 სოც.-დემ. 12 ესერი, ორი გამოურკვეველი. ქალაქის რაიონში (მენშევიკურია) გავიდა 17 ს.-დ, 12 ესერი და 2 გამოურკვეველი“. როგორცა ხედავთ მენშევიკების რაიონებიდან „პრესის“ ავტორის სიტყვით, მენშევიკებს სულ 28 ადგილი წაუგიათ: 24 ესერების სასარგებლოთ, 4 გამოურკვევლებისთვის.

„ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა იმ ქარხნებზე, სადაც მხოლოთ ბალშევიკები მუშაობდნენ, ისინი სრულიათ დამარცხებულ იქნენ“ აი, მაგალითად, ახალ ლესნერის ქარხანაში გავიდა ესერი (ეს **ერთი**) პარვინის ქარხანაში—ესერი (ეს **ორი**), პობედოვის ქარხანაში—ესერი (ეს **სამი**), ნარვის და მოსკოვის რაიონში, სადაც ბალშევიკები მუშაობენ, გავიდნენ სუყველგან ესერები (ვთქვათ **ექვსიც** აქ).

კიდევ? კიდევ არაფერი. როგორც ხედავთ ბალშევიკების რაიონებიდან „პრესის“ ავტორის სიტყვით ბალშევიკებს წაუგიათ ესერების სასარგებლოთ სულ 9—10 ადგილი. გამოდის, რომ მენშევიკებს 24 ადგილი მიუციათ ესერების-

# ფელეტონი

## ტრაგი-კომედია

(ტავრიდის სასახლე. მოქმედნი პირნი: სტოლიპინი, ვიტე, გრაფი პალენი, პობედონოსცევი, გურკო, ერთი ასული, აჩრდილი დიდებული, ი. ჭავჭავაძე. ყველანი საკუთარს კოსტიუმში და პარიკში არიან).

**აჩრდილი.** (გაივლის სცენაზე, პას ვერა ხედავენ) ყოფნა, არ ყოფნა, საკითხავი აი, რა არი?! (გადის ჩაფიქრებული).

**სტოლიპ.** (იდაყვით სტოლზე დაყრდნობილი მღერის ტირილის ხმაზე).
არ ვიცოდი, ხალხში ძალა ყოფილა,
მასთან ბრძოლა ხათაბალა ყოფილა!
(გრაფ პალენს)
აბა გასედე, მგონი მოდიან,
დერბინდში ვხედავ მე იმათ რაზმსა,
მგონი წითელი ფერი მოადგა
ტავრიდის კედლებს, დიად დარბაზსა?

**პალენ.** მართალსა ბრძანებ, დიდო პრემიერ, ლორნეტით მეც ვაკვირდები, მიერ,
ყელში მიწყდება მრავალჟამიერ,
მათ გარეგნობას რო ვუკვირდები!
ამ დუმაშიაც სულ ცოტა არი
ჩვენი მოსარჩლე და მეგობარი! ებზე

**პობედ.** გავცემ ბრძანებას, სამრეკლოყველგან ჩამოჰკრან გლოვისა ზარი,
პარაკლისები, პანაშვიდები,
წირვა, ცისკარი, სახსნილ-სამარხო,
ყოველდღე იყოს, თუ გავიმარჯვეთ,
თუ არა მაშინ სჯობს დავიმარხოთ!

**სტოლიპ.** კარგი იქნება, მეც ვიხმარ ზოთოფ-ზარბაზნებსა, ეგზეკუციას, მეებს,
სამთო-საველე წამსჯავროებსა
და მით ჩავაქროფ რევოლიუციას!
(შემოდის ვიტე. კუთხეში ჩუმათ იცინის)

**პალენ.** (უჩვენებს ვიტეზე)
აი, ემიერი, აი ეშმაკი,
ეს თილისმაა, ჯადოქარია,
ჩუმათ! შევწყვიტოთ ს ლაპარაკი,
სვიატოპოლსკის მეგ ბარია!
(ყველანი ზურგს უქცევენ ვიტეს).

**ვიტე.** (მეფისტოფელის სახით).
ახ, რისთვის, რისთვის აპონია
ისე ადვილათ მე შეგარიგეთ,
ჩემი ამაგი და ჩემი ღვაწლი
დღეს აღარ გახსოვთ, მთლათ დაივიწყეთ!
არ გაგონდებათ შიში, კანკალი
ოთხ კედელს შუა აქ პეტერბურგში,
როცა კუროკი და ოიამა
ჩვენს კუროპატკინს ურტყავდენ ზურგში?
სჯობდა თქვენც ყველა, რომ მუცუკიტოს
ტყვეთ წაეყვანეთ ხელფეხ შეკრული,
ცბიერნო, მე ვარ და მხოლოთ მე ვარ
დიდი რუსეთის მტკიცე ერთგული!

**სტოლ.** სტყუი, გრაფობა შენ გაიკ არი,
მით ქვაზე შესცდი და აირიე,
კონსტიტუციას გაუღე კარი,
ხალხი ამაღლე და გადარიე!

**პობედ.** წყეულიმც იყავ, იყავ წყეული,
ჩემზე ეშმაკი თურმე ხარ შენა,
ჩემზე ბოროტი გქონია გული,
მწარე ნაღველი და ტკბილი ენა!

**პალ.** ოხ, რატომ რელსნი არ აიშალნენ
და „კრუშენიე“ რატომ არ მოხდა,
ვიდრე რუსეთში ფეხს შემოდგამდი
რატომ ეგ სული მთლათ არ ამოგხდა!
რათ მოგვევლინე ან შენ, ან იგი,
სვიატოპოლკ-მირსკი შენებრივ კაცი,
თუ ფული გინდა, მოგცემ, წაიღე
და საზღვარ-გარეთ აბრუნდი, ვას წი!

**გურკო.** (რომელიც აქნობამდე რაღაც ქაღალდსა სწერდა.)
ფული! ფულები!? სად არი, ჩქარ ა
მითხარით კიდევ თუ დარჩა სადმე,
მაგ საძაგელს ტვირთს, იუდის სატრფოს,
მოგხსნით ზურგიდამ ლიდვალი და მე!
აი, ქალალდიც, მე დავამტკიცებ,
რომ სახელმწიფო არ გამიცარცვამს...

**სტოლ.** შენ ნუ სწუხდები. გავცემ ბრძანებას,
რამაც წაგწყმინდა ივივ დაგიცავს
(ამ დროს კარებში გამოჩნდება ვინმე ასული. გურკოს თვალს ჩაუკრამს, სტოლიპინს გაუცინებს. გურკო უკან გაჰყვება, გადის სცენიდამ)

**სტოლიპ.** (თავისთვის)
მომხიბლავია, რა ღიმილი აქვს!
ფულს კი არა, მე თავს შევსწირავდი,
გურკო გამართლდეს, გავსცემ ბრძანებას,
თუ ხელს მოვიგდე იმ ქალის ლანდი!

**პობ.** (თავისთვის)
ო, არაფემა, ოხ ანაფემა!
არა, წამომცდა, მე სხვა მინდოდა,
იმ ქალის ლანდზე მეც სიბერის დროს
გული ერთიან ამიცუნცრუკდა!

**პალენ.** (რომელიც აქნობამდე ვიტეს განრისხებული უყურებდა)
ჰა, რას გაჩუმდი, შე მოღალატევ,
აბა შეხედე შენს შრომის ნაყოფს,
ხედავ წითელს ფერს ჩვენს ტავრიდაში?
საცაა ალი თავსაც ამოჰყოფს!

**სტოლ.** (გონს მოსული, ვიტეზე)
ხედავთ როგორ დგა დოინჯ შეყრილი,
ეცნევა კიდეც რომ მით ამაყობს!

**ვიტ.** ხა, ხა, ხა, ხა ხა, რა სურათია,
მთლათ არევიათ საწყლებს გზა-კვალი,
უბრალო საქმე ვერ ჩაუფარცხავთ,
დაბრმავებიათ სულელებს თვალი!
მე თქვენ მოგმართავთ და გიპასუხებთ:
სცდებით, როცა მე მწამებთ ღალატსა,
ვერ გაგიგიათ კონსტიტუციით,
რომ ვატყუებდი რუსეთის ხალხსა!
სიტყვით ვაძლევდი, საქმით კი არა,
და სწორეთ დღესაც ასე მწადიან,
არც მეშინიან თუ მემარცხნენი
მუშტს გვილერებენ და გვიქადიან!
თქვენ ჩამომშორდით, მე ვიცი მათი,
კადეტს გადმოვწევ მარჯვენივ მხარეზე,
და ამით დუმის უმრავლესობა
შემრჩება რაზმში ბრძოლისა ველზე!
ხალხსაც გადუგდებ რამე კენწეროს,
ლაქათა სიტყვას, ერთს-ორს დაუთმობ,
და მონარქიას, კვლავ მონარქიას
ასე ჩუმჩუმათ უყმობ, და უძმობ!
მყვირალანი ხართ, სხვა არაფერი,
საქმე მომანდეთ მე როგორც რო გმირს—
და კარზე მომდგარ რევოლიუციას
ვფიცავ, დავამხობთ, ჩამოვაგდებთ ძირს.
აქ ხერხი უნდა და არა ძალა,
მეც მხოლოთ ხერხით მინდა ვიარო,
საქმით დე, იყოს კვლავ მონარქია,
და სიტყვით კია სხვა ვაღვიარო!
(ამ დროს გაიხსნება ტავრიდის სასახლის კარები. შემოდის დუმა. დარბაზს წითელი ფერი მოეფინება. სტოლიპინს თვალთ უბნელდება, პობედონოსცევი გულ-შეღონებული კაპლსა სუნავს, პალენი ფრაკის კალთებს იკალთავებს გასაქცევათ, ვიტე ორპოფათ იღიმება. სცენაზე გამოჩნდება ილია ჭავჭავაძე, მეტის მეტი სინათლისაგან მასაც თვალთ უბნელდება, ხელებს აფათურებს, ეძებს რაღაცას.)

**ი. ჭავჭ.** ბატონებო, შემატყობინეთ
თვალთ დასაბნელი რაა ეს ძალა,
ისიც მითხარით აქ სადმე ახლო
არ იშოვება ნივრით არტალა?
(სცენაზე დუმილია. პარტერში განგაში აჩრდილი დიდებული ათრთოლებული კვლავ გამოჩნდება.)

**აჩრდ.** ყოფნა, არ ყოფნა
საკითხავი აი, რა არი?..
(ფარდა არ ეშვება)

**ი. ევდოშვილი**

თვის და ბალშევიკებს კი—ძლივს 10. გამოდის, რომ „პრესის“ ავტორის მიერ მოყვანილი ციფრები აშკარათ ამართლებს ჩვენ დასკვნას და აშკარათვე ანგრევს „პრესის“ ავტორის დასკვნას. გამოდის, რომ „პრესის“ ავტორს ანგარიში არა სცოდნია. ან იქნება 10 ადგილი 24 ადგილზე მეტია? კრიტიკაც ასეთი უნდა!

გარდა ამისა, „პრესის“ ავტორი მალავს ზოგიერთა ფაქტებს, რაც სრულ წლოვანმა კაცმა არას დროს არ უნდა იკადროს. აი, მაგალითათ, ნევის რაონში, 12 ზავოდში, ბალშევიკებმა წამოაყენეს თავიანთი კანდიდატები და მოიგეს 11 ადგილი, ესერებს მხოლოთ 2 ადგილი შეხვდა. დანარჩენ 11 ზავოდში მენშევიკებმა წამოაყენეს თავიანთი კანდიდატები და მიიღეს 6 ადგილი, წააგეს ესერების სასარგებლოთ 12 ადგილი (იხ. „პრ.“ № 12). როგორცა ხედავთ, აქაც უარუყვიათ მუშებს მენშევიკები და ესერები უმჯობინებიათ. „პრესის“ ავტორი კი მალავს ამ ფაქტს!..

ესეც რო არ იყვეს, ვინ არ იცის, რომ რწმუნებულთა უმეტესობას პეტერბურგში ბალშევიკები შეადგენდნენ? ვინ არ იცის, რომ ამომრჩეველთა უმეტესობაც ბალშევიკები იყვნენ? ვინ არ იცის, რომ მუშათა ამომრჩევლებმა ბალშევიკი მუშის გაყვანა გადასწყვიტეს სათათბიროს დეპუტატად (და გაიყვანეს კიდეც)? როგორ მოხდებოდა ყველა ეს, რომ რწმუნებულ—ამომრჩეველთა უმეტესობა ბალშევიკები არ იყვნენ? „პრესის“ ავტორი კი ცდილობს ყველა ამ ფაქტებს ხელი დააფაროს! მან არ იცის, რომ „არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადდეს“.

დიახ, ცუდია, როცა ყალბ პოზიციაზე შედგები: იძულებული ხდები სიმართლისა და ლოღიკის წინაღმდეგ წახვიდე. სწორეთ ასეა დღეს „წინ“-ის საქმეც...

## ახალი ამბავი

20 თებერვალს, ნაშუალამევის 2 საათზე, მე-6 საპოლიციო ნაწილში, პოლიციამ ალყა შემოარტყა სირინოვისა და სხვა მეზობელ სახლებს. გაჩხრეკის შემდეგ დააპატიმრეს 5 კაცი. წაიღეს 4 თოფი, 3 რევოლვერი, 3 ხანჯალი და ერთი ხმალი.

✦ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ, 20 თებერვლის სხდომაზე, დაადგინა გადადებულ იქმნას 500 მან. თბილისის ქართულ გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთათვის, 400 მან. მცხეთის დედათა სამონასტრო სკოლისთვის, 200 მან. სიღნაღის დედათა მარიამის სკოლისთვის, 500 მან., თბილისის შრომის-მოყვარეთა სახლისთვის და 600 მან. ქართულ გიმნაზიის რვა მოსწავლეთა სტიპენდიების გასადიდებლად. ამავე კრებამ 10 კაცისაგან შემდგარი კომისია აირჩია, რომელმაც ქართულ თეატრის შენობა უნდა დაათვალიეროს.

✦ კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო თბილისის დრ. გენ.-გუბერნატორს ღებულ ჯარიმებით შემდგარ ფულიდან გადაიღოს 3,750 მან. 150 სათადარიგო პოლიციელთათვის იანვრის ჯამაგირების დასარიგებლად.

✦ 20 თებერვალს, სალამოს 9 საათზე, რიყის ქუჩაზე, ელექტრონის ვაგონი დაეჯახა ეტლს, რომელშიაც მგზავრი იჯდა. ორივე ცხენები მოკლულია. ეტლის წინა ნაწილი დაიმტვრა. მგზავრი და მეეტლე უვნებლათ გადარჩნენ.

✦ როგორც სოფ. სვერიდან გვატყობინებენ, 20 თებერვალს, ღამის სამ საათზე, ცნობილი მახარაძე დასცემია თავს აფ. მერკვილაძეს ბინაზე. მოუკლავთ მერკვილაძე და მისი ამხანაგი. მესამე სასიკვდილოთ დაუჭრიათ.

✦ ტფ. სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორი სტეფანოვი სთხოვს ქალაქის გამგეობას, 300 მანეთი გადაეცეს სასანიტარო კომისიას, ამას წინათ დადგმულ წარმოდგენის შემოსავლიდან, რითაც ხსენებულ კომისიას ჰსურს თეორეულობა და ცხელი საჭმელი მიაწოდოს ღარიბთა თავ-შესაფარში მყოფთ.

✦ ამ უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში ტიფით ავათმყოფთა რიცხვმა შესამჩნევაო იკლო,

✦ ნამესტნიკის კანცელიარიას საჩივარი შეაქვს გარდაცვალებულ ოპოჩინინის მემკვიდრეებზე, რომლითაც 100,000 მ. ედავება, გაზ. „კავკაზის“ ხელის მომწერთაგან აღებულს.

## მცირე შენიშვნა „წინის“ თანამშრომელს პ—ს.

გაზეთ „წინის“ მე№3-ში მოთავსებულია მოწოდება ვინმე პ—სი „თფილისის პროფესიონალურ კავშირათა ცენტრალურ საბჭოს დეპუტატების საყურადღებო.“ მოწოდება თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია მართლაც ფრაქციული ჟინით და მტრობით მოპირდაპირე ამხანაგებისადმი. ავტორი დამთვრა[illegible] და დაბრმავებულ კაცს უფრო ჰგავს, ვინემ საღ და ფხიზელ გონებისას. უამისოთ, რას უნდა მივაწეროთ ასე წარამარა გადამახინჯება ფაქტებისა, სინამდვილის დაფარვა და სურვილი გავლენიან დემაგოგობისა?! მხოლოდ სურვილი, ვინაიდან ის გინებით ნამეტან **ღატაკია** და მოკლებულია ლოღიკას, რომ გავლენა მოიპოვოს მოწინავე მუშებზე და ვინმე შეაცდინოს,—გამოუკვლევლად დაუჯეროს მას. განვიხილოთ ორიოდე სიტყვით,—რაშია საქმე.

1.) მიმართავს-რა ცენტრ. საბჭოს დეპუტატებს, ამხ. (თუ-კი ამხანაგია!) პ—ე ამბობს: „საბჭოს იმ ორ კრებაზე, რომელზედაც მე შემთხვევით მომიხდა დასწრება“ რანაირად მოჰყვა „შემთხვევით“ პ—ე საბჭოს კრებებზე, სადაც გარდა დელეგატებისა არავის უფლება არ ჰქონდა დასწრებისა? რატომ ამაზე არას ამბობს და ბევრ სხვაზე, რაც მან იქ ჩაიდინა და რითაც დააჯილდოვეს ის ამხანაგებმა? ძალლიც აქ მარხია, ჩემო ახალგაზდა უსუსურო „ამხანაგო“! თქვენ კრებებზე „შემოიპარეთ“ ვითომდა ერთ კავშირის წესდების დასაცავად, როცა ის კავშირი და მისი წესდება ცენტრალურ საბჭოს განკარგულებით პროფეს. კომისიას, როგორც თქვენც მოისმინეთ, მისი მოხსენება, უკვე გამოეკვლია, კიდეც ეცნო ნამდვილ პროლეტარულათ—და საბჭომაც დაამტკიცა ის. თქვენი დაცვა-კი საჭირო არ შეიქნა. თქვენი დასწრების ნამდვილი მიზეზი და თქვენი „სულის-კვეთება“ სხვა გამოდგა, როგორც გამხილეს მეორე კრებაზე ამხანაგებმა... თქვენ კრება გინდოდათ ჩაგეშალათ, ვინაიდან, როგორც გეთქვათ ზოგიერთ ამხანაგებისათვის თითოთითოდ და ორ-ორად კუთხეებში ფუჩუნით და ბალკონზე უფრო ხმა მაღლა,—„ჩვენი არ გავა აქ, სჯობია ჩაგეშალოთ,—ჩვენ ხომ მენშევიკები ვართო და სხვა“... აი, ამ ამხანაგებმა გამხილეს თქვენ და არ მიკვირს თუ რომელიმე მათგანმა „რაინდულათ“ მოიწია თქვენკენ „მუშტით“, როცა თქვენ კრების—წინაშე კიდევ გქონდათ სითამამე და უსირცხვილობა, გემართლებიათ თავი, თითქოს ისინი ცილს გწამებენ და შენ მაგგვარი არა ჩაგიდენიარა. „მუშტის-კრივი“—ცუდია და არავის მოუწონებ, მარა უნამუსობა კიდევ უფრო უარესია და რა გიკვირსთ, თუ სამხრეთის კაცები სიტყვის მაგიერ მუშტებით გიპასუხებენ.—2) თქვენ ამტკიცებთ, თითქოს თქვენ დიდი უპარტიო და უფრაქციო კაცი იყოთ და თითქოს ამასვე უქადაგებდით ჩვენს დეპუტატებს. უბედურო! სად არის სირცხვილი?! ზემოთ ნაჩვენებ თქვენ ყოფაქცევის შემდეგ, ვინ დაგიჯერებდათ თქვენ, გარდა თქვენსავით „პოლიტიკანისა“, და რა გიკვირს, რომ საბჭომ თქვენ ყური არ გათხოვათ და აღშფოთებით გიყურებდათ თქვენ, აბა როდის გახვიდოდით კრებიდან თქვენის ნებით... მარა, ეს „სიგმირეც“ ვერ გამოიჩინეთ თქვენ და ენას წარა-მარა მაინც „ამუშავებდით“, სანამ თქვენ და ერთი-ორი თქვენი მსგავსი არ გაგაძევეს სულ. საბჭომ ღირსეულათ დააფასა თქვენი ფრაქციაც პროვოკაცია.

3) ავიღოთ ახლა ბალშევიკების 'გაზეთი პროლეტარი „№ 12 (ავტორს № 2—აქვს“ ეს შეცდომაა) და იქ ვიღ[illegible]ცას—მიერ, თქვენსავით „კარგად“ მცოდნე საბჭოს საქმეებისას-, მოთავსებულ კორესპონდენციას არჩევთ და მაზე უთითებთ თფილისელ ამხანაგებს, რომ ისინი „ბალშევიკებს“ მიუსიათ „მუშტითა“, და „კრივით“ და თავი მით დაიძვრინოთ... მარა, ეს ;ვერაფერს გიშველით, ამხანაგო, ვერა! თქვენ ისე დაბრმავებული ყოფილხართ ფრაქციაც მტრობით (თუმცაღა, არ ვიცი რატომ) წაგიკითხავთ წერილი და ვერ ჩაგგირგვებიხართ მასს შინაარსს, თუ ვის შეიძლება ვაკუთნოთ ის წერილი,—ბოლშევიკს, მენშევიკს, თფილისიდანაა მიწერილი, თუ სხვაგნიდან,—კაი მცოდნე საბჭოს საქმეებისა და დაახლოვებული, თუ წინააღმდ[illegible]ამისა. ერთი ის, რომ წერილს აწერია—კავკასია, და არა თფილისი. მეორე,—წერილის შინაარსიც ეხება მთელ კავკასიას სოხუმ-ბათუმიდან დაწყებული ბაქომდე, და თბილისი შუაზეა გამოკვეთებული... მესამე, წერილის ავტორი, ეჭვი არაა, **მგზავრია,** მართლაც, და ძალიან ცუდათ სცოდნია ამ მხარის ამბები და ნამეტურ თფილისისა—და აქ ჩვენი საბჭოს და პროფესიონალურ მოძრაობის და მისი მწერლობის ავი და კარგი.—ამიტომ, მეოთხედ, კორესპონდენცია სავსეა შეცდომებით. თუნდაც აიღეთ ის, **რომ თითქო** „ახლ დროებაში“ გადმობეჭდილა წერილები იყოვო „პროლეტარიდან“ და „გპერიოდიდან“,—როცა არც ერთი ეს არ ყოფილა, თუ არა გადაიკითხეთ „**ახალი დროების“ ნომრები.** მეხუთედ, „ახ. დროება“ გამოვიდა ცხრა ნომერი და არა ათი და ბევრი სხვ... მაშ, თქვენი ნიღაბის ჩამოსახდელად და უხეიროულაჯო დემაგოგიის გამოსააშკარავებლად ესეც კმარა... ვინც-კი დაინტერესებულია მართლაც საქმის სიყვარულით და უნდა ორგანიზაციული მუშაობა მასსაში, ისეცდება შეადაროს ნაწერი, ნათქვამი და ნამოქმედარი ამხანაგ. ბოლშევიკების და თქვენისთანა უსუსურ „მენშევიკისა“ და ღირსეულათ დააფასებს ერთსაც და მეორესაც ხვალ-ზეგ მაინც.

**ცენტრ. საბჭოს აღმასრულებელ კომისიის წევრი.**

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

20 თებერვალი, **სახელმწიფო სათათბირო**

**პეტერბურგი.** დღეს შუადღისას ეკატერინეს დარბაზში პარაკლისი გადაიხადეს მიტროპოლიტმა ანტონმა ეპისკოპოსების პლატონისა და ევლოგის, არქიმანდრიტების დიონისესა და მეთოდის და ისააკის ტაძრის სამღვდელოთა თანამსახურებით. მიტროპოლიტმა ასეთი სიტყვით მიჰმართა: „დღეს, შევიყარენით რა აქ აღსაშენებლად საქმისა ხელმწიფისა, აზრითა ჩვენითა გადავდივართ საქრისტიანო ისტორიის დასაწყისში, ოდეს უფალმან თვით აღირჩია თავისთვის თანაშემწენი და მიანდო მათ სამოციქულო მსახურება. უფალმან მიიწვია მათგან 12. როცა ქრისტეს-მიერ არჩეულ მოციქულთა ამა რიცხვს გამოაკლდა გამცემელი იუდა, მაშინ უკვე თვითონ მოციქულებმა მოიწვიეს მის მაგივრად სხვა შემდეგის პირობითა: „ავირჩიოთ,—რქვეს მათ,—ერთი იმათგანი, რომელიც მუდამ ჟამს განუყრელად ჩვენთანა ყოფილა, ქრისტეს ნათვლიდან დაწყებული ქრისტეს ამაღლებამდე, რომ იგი ჩვენთან ერთად იყოს მოწმე ქრისტეს აღდგომასაო“. ამგვარად, მოციქულებს პირდაპირ კი არ აურჩევიათ ვინმე იუდას ალაგზე, არამედ აირჩიეს ისეთი, რომელიც იცნობდა ქრისტესა და მისს მოძღერებას. ეს დიდებული დასაწყისი რომ შევუფარდოთ რუსეთის ხალხის არჩეულთ, რომელნიც ძვირფას სამშობლოს განსაახლებლად არიან მოწოდებულნი, ჩვენ გვჭირია მომზადება და ისტორიული გულდასმითი ცოდნა იმ დასაწყისისა, რომელზედაც იზრდებოდა და მტკიცდებოდა ჩვენი სახელმწიფო, და უნდა მუდამ გვახსოვდეს, რისთვის მოვსულვართ. რა უნდა ვაკეთოთ. მოციქულებმა აირჩიეს ისეთი, რომელსაც უნდა დაემოწმებინა ქრისტეს აღდგომა. თქვენც, ხალხისმიერ არჩეულნო, მოწოდებულ ხართ დაამოწმოთ ჭეშმარიტი გასაჭირი და საჭიროებანი თქვენის ამრჩევლებისა, მხოლოდ პატიოსნათ, გაუზვიადებლათ, როგორც უფლის წინაშე, ისე თქვენის სინიდისისა. სამშობლოს კეთილდღეობა ხალხის სხვადასხვა ჯგუფებს სხვადასხვანაირათ ესმით. უფალიც ხომ სხვადასხვა სახით ევლინებოდა თავის მოციქულებს: ზოგს მეევნახის სახით, ზოგს მწყემსის, ზოგს მწირისა და მოგზაურისა. ზოგიერთები მზად იყვნენ მიეღოთ ქრისტე აჩრდილად, ზოგნი კი არც იჯერებდნენ სიკვდილ ქრისტეს აღდგომას. ვუფარდებ რა ამ მდგომარეობას დღევანდელს კრებისა სათათბიროს სხდომის დაწყებას, არ შევდივარ სათათბიროს წმინდა პოლიტიკურ თვისებათა განხილვაში, იმიტომ, რომ არც ვიცი და არცა მაქვს საპოლიტიკო მსჯელობისათვის საჭირო მომზადება. ვევედრები უფალს, რომ მან შეისმინოს ლოცვანი ჩვენნი, რომ უფალმა უშველოს ხალხის არჩეულთ თავიანთ პოლიტიკურ მტრებისა და მოპირდაპირეების დამარცხებაში კი არა, არამედ იმაში, რომ იმუშაონ და ილვაწონ ყველას საკეთილდღეოდ. არავინ არ უნდა ფიქრობდეს მარტო ამა თუ იმ მხარის გამარჯვებაზე,—ეს ცუდათ მოქმედებს იმ საქმეებზე, რისთვისაც მოწვეულია სათათბირო. ვიხდი რა ამ პარაკლისს, ვამთავრებ სიტყვას ლოცვიურ სურვილით, რომ ეს მეორე სათათბირო, რომელსაც მთელი ხალხი სასოებით შეჰყურებს, როგორც ზეციურს მანანას, ყოფილიყოს არა მარტო მყვირალა და მოლაყბე, არამედ ეს სათათბირო ყოფილიყოს მოფიქრ-მოაზრე და სრულ-გონებიანი მუშაკი“.

პარაკლისისა და მრავალჟამიერის შემდეგ, ზოგ დეპუტატებისა და დამსწრე საზოგადოების მოთხოვნილებით ქანდარაზე ორჯერ შეასრულეს ჰიმნი, რომელიც ურას ძახილმა დაჰფარა. ორის 3 წუთზე სტატს-სეკრეტარმა გოლუბიოვმა ღრმად თავი დაუკრა ცენტრს, და მიესალმა მარჯვნივ და მარცხნივ. სახელმწიფო მდივანი ბარონი იქსკულ-გილდენბრანდტი, გოლუბიოვის მოწვევით, ჰკითხულობს უმაღლესს ბრძანებას სენატორისადმი, რომ სათათბიროს სხდომის გახსნა მას, გოლუბიოვს, აქვს მინდობილი. ბარონმა წაიკითხა. გოლუბიოვი ჰკითხუ-

ლოშს ბარათით: „მომანდო რა საპატიო მონდობილება სახელმწიფო სათათბიროს სხდომათა გახსნისა მცხოვრებთაგან ამა წელს არჩეულ დეპუტატების შედგენილობის თანადასწრებით, ხელმწიფე იმპერატორმა მიბრძანა წავუკითხო დეპუტატებს მის უდიდებულესობის სახელით უუმოწყალესი სურვილი. და იყოს შრომანი თქვენნი, შეწევნითა ღვთისათა, სასარგებლონი ძვირფასის რუსეთის საკეთილდღეოდ“.

ბესარაბიის გუბერნიის დეპუტატი კრუპენსკი აწყვეტინებს შეძახილით: „გაუმარჯოს იმპერატორს“, მემარჯვენეებში ხმა მაღალი „ურა“ გაისმის და ყველანი წამოდგებიან. კადეტები და მემარცხენე პარტიები ჩუმათ სხედან. გოლუბიოვი განაგრძობს: „ბატონნი წევრნი სათათბიროსი კანონით დაწესებულ შედგენილობის რიცხვზე მეტნი შეიკრიბნენ“. გოლუბიოვი წინადადებას აძლევს სახ. მდივანს წაიკითხოს სახელმწ. სათათბიროს დაარსების შესახებ 1906 წლის 18 სექტემბრის წესები. მდივანი ჰკითხულობს. გოლუბოვი განაგრძობს: „ჩვენ უნდა შევასრულოთ კანონში ნიჩვენები წესები, სახელმწიფო სათათბიროს წევრთა საგანგებო ფიცის შესახებ. ბ-ნნი წევრნი სათათბიროსი კეთილ ინებებენ' და ფეხზე დგომით მოისმენენ ამ წესებს.“ ყველანი წამოდგებიან. მდივანი ჰკითხულობს. ყველანი მიდიან კოლონებზე ხელის მოსაწერად. სახელ-გვარების მოწერაში ნახევარი საათი გადის, შემდეგ გოლუბიოვი წინადადებას აძლევს, კანონის თანხმად, დაასახელონ ბარათებით თავმჯდომარე და მოაგონებს, რომ თავმჯდომარედ უნდა დასწერონ მხოლოდ ერთი კანდიდატი. ბარათებს სწერენ. ხმების შეკრების შემდეგ გოლუბიოვი წინადადებას აძლევს სათათბიროს ერთ-ერთმა რომელმამე წევრმა მიიღოს შრომა და წაიკითხოს ბარათებიო. გაისმის ხმები ცენტრსა და მარცხნივ; „თავადი დოლგორუკოვი, კარავაევი, კუზმინ- კარავაევი,“ და მარჯვნივ: „ივაშჩენკო, ბობრინსკი, ხომიაკოვი,“ გოლუბიოვი იწვევს ყველა ზემოხსენებულთ. სახელმწიფო მდივანი გამოაცხადებს, რომ გოლოვინმა მიიღო 331 ბარათი, ხომიაკოვმა 91, კუზმინ-კარავაევმა—3' მიხ. სტახოვიჩმა—2, ტესლენკომ—1. გოლუბიოვი ჰკითხავს კანდიდატებს, გსურთ თუ არა კენჭი იყაროთო, გოლოვინს გარდა ყველანი უარს აცხადებენ. გოლუბიოვი წინადადებას იძლევა დაიდგას ერთი ყუთი და სთხოვს წევრებს დაესწრონ კენჭის ყრას, მარცხნივ ასახელებენ დოლგორუკოვსა და კუზმინ-კარავაევს, მარჯვნივ— ივაშჩენკოს. სამივენი ყუთთან მიდიან. იწყება ხმის დათვლა. სახ. კანცელარიის ერთი მდივანი ხმა-მაღლა წარმოსთქვამს დასახელებულ დეპუტატების გვარებსა და სახელებს. სამარისებური სიჩუმეა. ოთხის ნახევარზე ხმის დათვლა თავდება. გოლუბიოვის წინადადებით ივაშჩენკო აცხადებს, რომ გოლოვინმა მიიღო 306 თეთრი და 102 შავი. ტაშის ცემა ცენტრსა და მარცხნივ—მემარჯვენენი ხმას არ იღებენ. სახ. მდივანი კითხულობს საარჩევნო ფურცელს. გაცხარებული ტაშის ცემა მარცხნივ და ცენტრში. მემარჯვენენი კიდევ სდუმან. ტრიბუნაზე ადის **თევდორე ალექსანდრეს ძე გოლოვინი.** გოლუბიოვი დაბლა თავის დაკვრით მიესალმება. ტაში არა სცხრება. გოლოვინი თავს უკრავს დეპუტატებს და წარმოსთქვამს შემდეგ სიტყვას: „სათათბიროს ნება თითოეულ მისის წევრისთვის კანონია. ვიხსომებ-რა ამას, მე უყოყმანოდ ვიღებ თავმჯდომარის მოვალეობას. დიდია და განუსაზღვრელი თქვენი ჩემდამი პატივისცემა. არ დავზოგავ ჩემს ძლღონეს, რომ გავამართლო თქვენი ნდობა. თუმცა აქ სხვადასხვა აზრისანი ვართ, რაიცა ერთმანეთისაგან გაგვაშორებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენ გვაერთებს ერთი მისწრაფება—განხორციელება სამშობლოს კეთილდღეობისა კონსტიტუციონურ მუშაობის ნიადაგზე. მივისწრაფი-რა პირუთვნელ კამათისა და სიტყვის თავისუფლებისაკენ; მოვალეთ ჩავრიცხავ ჩემს თავს დავიცვა სათათბიროს ღირსება და მხარი დავუჭირო მას. ჩვენ კარგათ ვიცით, რა მოუთმენლათ მოელის ჩვენი ქვეყანა ჩვენგან მძიმე ტანჯვისაგან თავისდაღწევას. პირდაპირი გზა ამ მიზნის განხორციელებისა აღნიშნა პირველმა სათათბირომ,—იგივე გზა რჩება აგრეთვე ამჟამადაც: ცხოვრებაში გატარება 17 ოქტომბრის მანიფესტში აღნიშნულ კონსტიტუციონურ დასაბამისა და განხორციელება სოციალურ კანონმდებლობისა. ნუ დავზოგავთ ჩვენს ძალღონეს, რომ მეორე სათათბირომ განახორციელოს 17 ოქტომბრის ისტორიული მანიფესტი. დიდია და ყოვლად ძლიერი სახალხო წარმომადგენლობა. ერთხელ ცხოვრებისაგან გამოწვეული, იგი არ მოჰკვდება. მონარქთან ერთად იგი შეუჩერებლივ გაატარებს ცხოვრებაში ნებასა და აზრს ხალხისას. კანონის თანახმად, თავმჯდომარემ უნდა აცნობოს ხელმწიფე იმპერატორს მისი ამორჩევა. ამიტომ ვაცხადებ, რომ სხდომას ვხურავ. შემდეგ სხდომის შესახებ გამოცხადებული იქნება ცალკე უწყებებით. სხდომას ვხურავ 3 საათზე და 48 წუთზე“.

სათათბიროს სხდომის გახსნის დაწყებამდე, 11 საათზე დამსწრე ს ოგადოებისათვის მოწყობილი ლოჟები ხალხით გაჭედილი აღმოჩნდა. მათ შორის ბევრია პირველ სათათბიროს დეპუტატად ნამყოფნი. პარაკლისის შემდეგ მინისტრების ლოჟები დაიჭირა მთელმა მინისტრთა საბჭომ, სტოლიპინის მეთაურობით. როცა ეპისკოპოსებმა პლატონმა და ევლოგიმ დაიჭირეს თავიანთი ადგილები, მემარჯვენეთა პირველ სკამებზე, სტოლიპინი, კოკოვცევი და მინისტრთა საბჭოს სხვა წევრნი აივიდნენ მათთან ლოცვა-კურთხევის მისაღებად. გოლუბიოვი სახელმწიფო მდივნის თანხლებით ავიდა თავმჯდომარის ტრიბუნაზე.

პირველ სხდომის გათავების შემდეგ, სათათბიროს ზოგიერთი წევრები ცალკე ბინებზე შეიკრიბნენ ტაქტიკურ საკითხთა განსახილველად, კაზაკების დეპუტატებმა, შჩერბინას თავმჯდომარეობით, გადასწყვიტეს შეადგინონ ცალკე საპარლამენტო ფრაქცია. კაზაკების სათემო და კაზაკ მცხოვრებთა შესახები რეფორმების განსახორციელებლად. გადასწყვიტეს 21 თებერვალს ტავრიდის სასახლეში ახალი კრება გამართონ კაზაკთა და სათემო საპარლამენტო ფრაქციის მოსაწყობად და სხვადასხვა კითხვების გამოსარკვევად.

სათათბიროს პირველ სხდომის გათავებისათანავე ბჭოჰა, ჰქონდა მემარჯვენეთა საპარლამენტო ფრაქციას ხომიაკოვის თაამჯდომარეობით. სათათბიროს პრეზიდიუმის კანდიდატების დასასახელებლად გადასწყვიტეს 21 თებერვალს შეიკრიბნონ ტავრიდის სასახლეში.

**პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭო.** ნაშუადღევის ექვსის ნახევარზე განახლდა სახელმწიფო საბჭოს სესსია. პარაკლისის შემდეგ, რომელიც მიტროპოლიტმა ანტონმა გადაიხადა სამის ეპისკოპოსის (სახელმწიფო საბჭოს წევრების) თანამსახურებით, და ორჯერ შესრულებულ საერო ჰიმნის შემდეგ, რომელიც ორჯერვე ურას ძახილმა მოიცვა, სახ. საბჭოს თავმჯდომარემ სტატს-სეკრეტარმა ფიშმა სხდომა გახსნა და მოუწოდა წევრებს გამოსთქვან უქვეშევრდომილესი მორჩილებანი და წარმოსთქვან: გაუმარჯოს მის იმპერატორებით უდიდებულესობასო“. თავმჯდომარის წინადადება ხანგრძლივმა ურამ დაჰფარა. სახელმწიფო მდივანმა მოახსენა სხდომას, თუ რა ცვლილება მოხდა საბჭოს წევრთა პირად შედგენილობაში. ამის შემდეგ თავმჯდომარემ წინადადება მისცა საბჭოს ახალ წევრებს ხელი მოაწერონ ფიცის ფურცლებს. შემდეგ საბჭომ დაადგინა, სამძიმარი გამოუცხადოს გარდაცვლილ წევრთა ოჯახობას და, ამას გარდა, დაადგინა, თავისი უღრმესი აღშფოთება და გულის წყრომა გამოუცხადონ საბჭოს წევრთა გრაფ პ. ა. იგნატიევისა და ბარონ ბუდბერგის მუხანათურათ მოკვლის გამო. 6 საათზე და 5 წუთზე სხდომა დაიხურა და შემდეგი სხდომა დანიშნულია 24 თებერვალს, დილის 9 საათისათვის.

ფინანსთა მინისტრმა სათათბიროში შეიტანა: 1) დამატებითი მოსაზრება თამბაქოს აქციზის მომატების კანონპროექტისა და 2) კანონპროექტი პაპიროზის ქაღალდებსა და გილზებზე გადასახადის დაწესების შესახებ. გარდა ამისა, ფინანსთა მინისტრი ამ ცოტა ხანში შეიტანს კიდევ სათათბიროში ექვსამდე ახალ კანონპროექტს საფინანსო წყაროების გაძლიერებისა თუ სულ ახლად დაწესების შესახებ, ხოლო უკვე შეიტანა ამა 1907 წლის სახნლმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯი-აღრიცხვის შესახებ ვრცელი მოხსენება და კანონ-პროექტი, რომელსაც რუსეთში პირველად განიხილავს პარლამენტი—სახელმწიფო სათათბირო და საბჭო.

**ირბიტი.** იარმუკობაზე შეკრებილმა მაჰმადიანებმა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს გოლოვინს მისალმების დეპეშა გაუგზავნეს და უსურვეს ძალღონისა, ენერგიისა, მედგრობისა და ჯანმრთელობის განმტკიცება მომავალ ფრიად რთულ შრომაში, რათა მიენიჭოს ხალხს უკვე აღთქმული სანატრელი დამშვიდება და განმტკიცდეს 17 ოქტომბრის მანიფესტის შეურყეველი საფუძველნი.

**პეტერბურგი.** ზომიერ და მემარჯვენე დეპუტატთა თათბირში გადასწყდა კანდიდატებად წამოაყენონ და მხარი დაუჭირონ, სათათბიროს პრეზიდიუმის არჩევის დროს, ოქტომბრისტების დეპუტატებს. დასახელებულია თავმჯდომარედ ხომიაკოვი; ამხანაგებად—მიხეილ სტახოვიჩი და კაპუსტინი; მდივნად—ბარონ სეკრეტი.

კადეტებისა და მემარცხენეების კერძო თათბირში, თავ. პავლე დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით, გადასწყვიტეს გაიყვანონ სათათბიროს თავმჯდომარედ, ერთ მის ამხანაგად და მდივნად კადეტები, მეორე ამხანაგად და მდივნის თანაშემწედ—მემარცხენენი. სათათბიროს თავმჯდომარედ საბოლოოდ გადასწყვიტეს აირჩიონ გოლოვინი (მოსკოვის გუბერნიიდან). თავმჯდომარის ამხანაგად მემარცხენეთა ბლოკი ასახელებს სახალხო სოციალისტს ფოლკ-კარაჩევსკის და მეორე ამხანაგად ასახელებენ კადეტს ტესლენკოს. ტესლენკოს კანდიდატურით ძლიერ უკმაყოფილონი არიან ესერები და ესდეკები, ვინაიდან ტესლენკო—მოსკოვის დეპუტატია, სადაც კონფლიქტი მოუხდათ მუშებს და კადეტებს. მდივნად ასახელებენ ჩელნოკოვს.

„სენატსკია ვედომოსტში“ გამოქვეყნებულია სახელი და გვარები 103 ახლად არჩეულ დეპუტატებისა, მათ შორის ტფილისისა და ტფილისის გუბერნიისა, ბაქოსი და მისი გუბერნიისა, დაღესტნისა და ზაქათალის თემისა და ოლქისა,ბათუმის თემისა და სოხუმის ოლქისა, თერგის თემისა და ერევნის გუბერნიისა.

ოფიციალური გაზ. „როსსია“ ამბობს მეთაურს წერილში, რომ პირველ სათათბიროს დეპუტატებმა ვერ გაამართლეს ნდობა ხელმწიფისა, ახლა ხელმწიფეს იმედი დამყარებული აქვს მეორე სათათბიროზე—და დეპუტატებმაც უნდა გაამართლონ მისი იმედებიო. გაზეთი ჰკიცხავს პირველ სათათბიროს წარსულ ოპოზიციურ მოქმედებას და ამბობს, რომ იგი სამართლიანათ დასაჯა ხელმწიფემ, რომელმაც მოიწვია კანონმდებელი დაწესებულება—სათათბირო, და მისგანვე გამომდინარეობსო მინისტრების აღმასრულებელი ძალა-უფლებაცაო.

გრადონაჩალნიკის განკარგულებით შეჩერებულ იქმნა გაზეთი „ტელეგრაფი“.

## თავდასხმა, გაძარცვა, დაჭრა და მკვლელობა.

(პეტერბურგის დეპ. სააგ. გადმოცემული).

**პეტერბურგი.** 20 თებერვალს, კერჩში არტილერიის სამმართველოს ხაზინადარს ხუთი შეიარაღებული დაეცა; წაართვეს 3,500 მანათი, ბრაუნინგი და მიიმალნენ. იუზოვკაში, პასტუხოვის მადანში, ჯამაგირის დარიგებისას, შეცვივდა 6 შეიარაღებული და უნდოდათ ფულის წართმევა, მაგრამ სროლის დროს უეცრად მოჰკლეს თავიანთი ამხანაგი,-დაიჭირეს ერთი. ვორშინსკის მაზრაში, სმოლენსკის გუბ., 14 შეიარაღებული შეუცვივდა ფოსტის განყოფილებაში, იარაღი აჰყარეს სტრაჟნიკს, გაიტაცეს 800 მანათი, 4 „კაზიონი“ რევოლვერი, ერთი თოფი და მიიმალნენ. რადომში საგუბერნიო სამმართველოს ბუჰალტერს, რომელსაც ხაზინიდან 4000 მანათი მიჰქონდა, ორი უცნობი თავს დაესხა და ფული წაართვა. ზეიდლიჩევში, წყლის მილის კანტორაში ყუმბარა ისროლეს. მოსკოვში, პეტროვსკო-რაზუმოვსკის ნაწილში მიმავალ ხაზინადარს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისას რაოშს დაეცა 5 შეიარაღებული. გადმოსხეს მარხილიდან რაოში და მეეტლე, წაართვეს 6,000 მანათი და მიიმალნენ. მაგრამ მერე პოლიციამ შეიპყრო ორი კაცი.

**მოსკოვი.** 20 თებერვალს, ღამე, ხომიაკოვის სახლში მოთავსებული იარაღის მაღაზია გასტეხეს და წაიღეს 131 სხვადასხვა სისტემის, სანადირო თოფები და მიიმალნენ. მაგრამ შემდეგ პოლიციამ დაიჭირა (?). იპოვნეს პატრონები რევოლვერები კი ვერა.

**კიევი.** ფოსტის მხლებელმა ფოსტალიონმა დაბა მალინში საფოსტო პარკიდან მოიტაცა 1,645 მან., აქედან 1106 მან. გადასცა სტრაჟნიკს, თვითონ კი ფოსტას თავი დაანება და ლუდხანაში წავიდა. სტრაჟნიკმა ფული ბოქაულს წარუდგინა, ხოლო ფოსტალიონი კი მთვრალი ნახეს ლუდხანაში. მას წინ ედვა ჩახმახ აწეული რევოლვერი.

**ლოძი.** პოზნანსკის მანუფაქტურის მუშებს, რომელთაც მეფაბრიკემ ლოკაუტი გამოუცხადა, კრება ჰქონდათ. ფაბრიკის პატრონი დაბეჯითებით თხოულობს, რომ 96 მუშა თვითონ მუშებმა გააძევონ. ამაზე ორჯერ ჰქონდათ კრება და 3682 მუშა თანახმაა მიიღონ ფაბრიკის პატრონის წინადადება, რადგან უკიდურეს მდგომარეობაში არიან, ხოლო ამ აზრის წინააღმდეგია 1160 მუშა.

რედაქტორ-გამომც. მ. კვაჭაძე

სტამბა „საქმე“ მიხაილოვის პრ. № 40.